


მდგრადი ინფრასტრუქტურა ჯანმრთელი და აყვავებული ქალაქებისთვის

ქალაქებს უსაჭიროება ინტეგრირებული დაგეგმვისა და განვითარების ინსტრუმენტები, რათა ცვლილებებმა მოქალაქეთა ცხოვრება რეალურად გააუმჯობესოს.³



დღევანდელი მნიშვნელოვანი გამოწვევების საპასუხოდ, ქალაქებში გაუმჯობესებული მდგრადი ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი საუკეთესო გზა შეიძლება აღმოჩნდეს.

დღეისათვის,¹ მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი და ევროპელების სამი მეოთხედი ქალაქებში ცხოვრობს.²



ქალაქებს საფრთხეს უქმნის კლიმატის ცვლილებით, დემოგრაფიული ცვლილებებითა და ჯანმრთელობის გაუარესების მომატებული რისკები, როგორცაა COVID-19-ით გამოწვეული ზემოქმედება.

ცუდი დაგეგმვისა და ფინანსური რესურსის ნაკლებობამ ქალაქებში შეიძლება გამოიწვიოს არაეფექტური სერვისების მომწოდება, ქალაქისა და გარეუბნების უკონტროლო ზრდა, ემისიების და დაბინძურების მატება, ჯანმრთელობისთვის საშიში რისკების წარმოქმნა. საბოლოოდ, ვიღებთ სისტემას, რომელიც ზრდის სიღარიბეს და დაუცველ ჯგუფებზე მძიმედ აისახება.



თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ურბანული ცხოვრების განსხვავებულ წესს შეუძლია კლიმატის ცვლილებისა და პანდემიის ზეგავლენა შეასუსტოს, შეამციროს მათი უარყოფითი ზემოქმედება და ქალაქებში ბევრი სიცოცხლე გადაარჩინოს.

ინფრასტრუქტურის ისეთი ცვლილებები, რაც ქალაქის სერვისებს უფრო ეფექტურს, გამძლეს და მდგრადს გახდის, მნიშვნელოვნად შეამცირებს ემისიებს, საწვავის მოხმარებასა და ახალი ტერიტორიების ათვისებას. მოქალაქეები კი უფრო უსაფრთხოდ და ჯანმრთელად იცხოვრებენ.



ქალებსა და მამაკაცებს, გოგონებსა და ბიჭებს სხვადასხვა მოთხოვნილება, გამოცდილება და ინტერესი აქვთ, ამიტომ, ქალაქის განვითარების დაგეგმვისას, გადაწყვეტილების მიღებასა თუ მათ განხორციელებაში, ამ განსხვავებული ჯგუფების ჩართვა აუცილებელია.

მდგრადი მუნიციპალური ინფრასტრუქტურისთვის ინვესტიციები უნდა განხორციელდეს თანამედროვე ურბანულ პროექტებში. ინვესტიციები მუნიციპალურ მდგრად ინფრასტრუქტურაში უნდა გაიზარდოს, მაგრამ მათი ეფექტურობის გაზრდისთვის გააზრებული ნაბიჯები უნდა გადაიდგას.



CEE Bankwatch Network

ძირითადი პრინციპები:

- ერთიანად გააზრებული, ერთმანეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და არა ცალკეული პროექტები.
- ინკლუზიური და ადამიანზე ორიენტირებული
- ეფუძნება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემუშავებულ განვითარების სტრატეგიულ გეგმას
- დაფინანსების წყარო უნდა იყოს ორგანიზაცია, რომელიც ითხოვს სტრატეგიულ, სისტემურ და ინკლუზიურ მიდგომას ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით.

სახლები:

ყველა სოციალური ჯგუფის უზრუნველყოფა უსაფრთხო, ხელმისაწვდომი, ენერგოეფექტური საცხოვრისით

ცენტრალიზებული გათბობა:

ხელმისაწვდომობა, სისტემის გეოგრაფიული არეალის გაზრდა, გენერაციის წყაროების დეკარბონიზაცია; განახლებადი ენერგიების ფართო გამოყენება [მზის პანელები სახურავებზე, გეოთერმული გათბობის სისტემები].

ენერგეტიკა და ენერგოეფექტურობა:

საზოგადოებრივი და კერძო შენობების რეაბილიტაცია ენერგიის დაზოგვის მიზნით

მყარი ნარჩენები:

ცირკულარული ეკონომიკა, ნარჩენების დახარისხება და შეგროვება, გადამუშავება, კომპოსტირება



ურბანული სივრცეები:

ეკოსისტემური მიდგომების დანერგვა; მწვანე სივრცის ზრდა; ბუნებრივი კატასტროფებისა და კრიზისებისთვის მზადება, საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე ზრუნვა

საზოგადოებრივი ტრანსპორტი:

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემები გამონაბოლქვის გარეშე, სატრანსპორტო სქემების გაუმჯობესება, სოციალური დისტანციის დაცვის შესაძლებლობა, ქალთა უსაფრთხოების და მათი შევიწროვების საწინააღმდეგო ღონისძიებები, ხელმისაწვდომობა.

ქალაქის გზები:

ქვეითა და ველოსიპედისტების პრიორიტეტულობა, „ჭკვიანი“ ქალაქების განვითარება, გზების ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურა.

წყალი და ჩამდინარე წყლები (კანალიზაცია):

სერვისების ხელმისაწვდომობა და გადახდისუნარიანობა, ეფექტური გადაწყვეტა, ჩამდინარე წყლების წმენდის მაღალი ხარისხი

ჭკვიანი ქალაქები:

მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ტექნოლოგიები

¹ გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტი, „მსოფლიო მოსახლეობის 68 პროცენტი 2050 წლისათვის ურბანულ ცენტრებში იცხოვრებს“, <https://www.un.org/development/desa/en/news/population/2018-revision-of-world-urbanizationprospects.html>, 16 მაისი, 2018.

² Eurostat, ურბანული ევროპა: სტატისტიკა ქალაქებზე, დაბებზე და გარეუბნებზე, Urban Europe - statistics on cities, towns and suburbs - executive summary, 12 ნოემბერი, 2018.

³ მაკკორმიკ კესი, ლენა ნეიცი და სტეფან ანდერბერგი, მდგრადი ურბანული ტრანსფორმაცია და მწვანე ურბანული ეკონომიკა, „მწვანე ქალაქების ეკონომიკა: მწვანე ურბანული ეკონომიკის მსოფლიო კრებული“. რედ.: რ. იმპსონი და მ. ციმერმანი. ბერლინი, შპრიინგერი, 2012.

მდგრადი, ინკლუზიური ქალაქები - გამჭვირვალობა და მონაწილეობა

ინფორმაციაზე
ხელმისაწვდომობა და
გადაწყვეტილების მიღების
პროცესში მონაწილეობა
ადამიანის საბაზისო
უფლებებია.

როდესაც ქალაქის მმართველობა პროექტს გეგმავს, ან საერთაშორისო ინვესტორები, მაგალითად, მეტროს ახალი ხაზისთვის, ან ცენტრალური გათბობის მოდერნიზებისთვის ინვესტიციას ახორციელებენ, მათი ქმედება ათასობით, ხშირად, მილიონობით ადამიანზე ახდენს გავლენას. ამიტომ, მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, ეს გადაწყვეტილებები მათზე როგორ აისახება და დაგეგმვის პროცესში ჩაერთონ. მოქალაქეებს აქვთ ქალაქისთვის პრაქტიკული და უნიკალური გამოსავლის პოვნის შესაძლებლობა. მათ აქვთ უფლება, შექმნან ქალაქი, რომელშიც ცხოვრობენ. ინკლუზია გამჭვირვალობითა და დაგეგმვაში მონაწილეობით იწყება

“ იგრძნობენ თუ არა თავს უსაფრთხოდ გოგონები და ქალები პიკის საათში, ან ღამით, საზოგადოებრივ ტრანსპორტში? ”

“ მეტროს მატარებლები უფრო სუფთა იქნება და უფრო ხშირად ივლის? ”

“ გაიზრდება გათბობის გადასახადი? შეძლებენ მის გადახდას დაუცველი ოჯახები? ”

“ დააბრკოლებს თუ არა სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივ მცირე ბიზნესს? თუ კი – რამდენი ხნით? ”

“ დააბრკოლებს თუ არა სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივ მცირე ბიზნესს? თუ კი – რამდენი ხნით? ”



ამ კითხვებზე საპასუხოდ, პირველ რიგში, ხელისუფლებას, ინვესტორებსა და მოქალაქეებს სწორი და ობიექტური ინფორმირება სჭირდებათ. მუნიციპალური ექსპერტის კაბინეტში გამოკეთილი 2000-გვერდიანი ტექნიკური დოკუმენტი ამისათვის საკმარისი არაა. არც ქალაქის მერის მიერ გაჭრილი ლენტის ფოტოს ტვიტერზე დაპოსტვა უშველის საქმეს.

**პრობლემების გააზრების შემდეგ,
მოსახლეობამ ქალაქის მთავრობისა
და ბანკების გადაწყვეტილებებში
მონაწილეობა უნდა მიიღოს.**

მოქალაქეთა მოსაზრებები, თუ შეშფოთება უნდა გაითვალისწინონ როგორც დაგეგმვის, ასევე თანხის გამოყოფისა და პროექტების განხორციელების დროს.

COVID-19-ის კრიზისმა ახალი გამოწვევები

შეუქმნა ქალაქებს და მუნიციპალურ სამსახურებს.

ქალაქებმა უნდა ხელახლა დაგეგმონ გადაადგილების მარშრუტები, წყლის მომარაგება, სანიტარული და სხვა სერვისები. მაგალითად, ფიზიკური დისტანციის გათვალისწინებით, ველოსიპედის გზის ინფრასტრუქტურის მოწყობამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ტრანსპორტში დატვირთვის შემცირებას. ამის პარალელურად, საზოგადოებრივი ტრანსპორტიც უფრო ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. როგორ უნდა შეიცვალოს საზოგადოებრივ ადგილებში წყლის ხელმისაწვდომობა, თუნდაც უფასო წყლის შადრევნების დადგმით? წყალზე და სისუფთავეზე ხელმისაწვდომობა უფლებაა, თუ ფასიანი მომსახურება?

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისი უკეთესი ინფრასტრუქტურისა და სერვისების მშენებლობის შესაძლებლობაა

#BuildBackBetter, ანუ **#აშენებელზეუკეთესი**. ამის მისაღწევად, ქალაქების მმართველებმა უნდა მოუსმინონ მოქალაქეებს - რა სჭირდებათ და როგორი მომავალი სურთ მათ. პოსტკრიზისული ეკონომიკის აღდგენისთვის დახარჯულ მილიარდებსა და ტრილიონებს ბევრი რამ შეუძლია, თუ ისინი ადგილობრივი თემებისა და ქალაქების საჭიროებებს მოერგება. ცხოვრების, მუშაობის, ზრუნვის, სწავლის, გადაადგილების, მოხმარებისა და ურთიერთობის თვალსაზრისით, ქალაქები უნდა გახდეს უფრო უსაფრთხო, ჯანმრთელი, მდგრადი და რესურსეფექტური.

ქალაქის მთავრობამ მოქალაქეებს უნდა მიაწოდოს ადვილად გასაგები ინფორმაცია მოსალოდნელი პროექტების შესახებ და მისცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკის აღსადგენად გამოყოფილი თანხების დახარჯვაზე გადაწყვეტილების მიღებაში.



გენდერული ჩართულობა ქალაქებში

ურბანული ინფრასტრუქტურა და სერვისები გენდერულად ნეიტრალური არ არის.

ქალებს და კაცებს, გოგონებს და ბიჭებს განსხვავებული საჭიროებები, გამოცდილება და ინტერესი აქვთ. განსხვავებულია ისიც, თუ რამდენად მიუწვდებათ მათ ხელი და როგორ იყენებენ ურბანულ ინფრასტრუქტურას და მუნიციპალურ სერვისებს.

ქალთა ჩართულობის პრინციპები




მონაწილეობა და წარმომადგენლობა
გადაწყვეტილების მიღების პროცესში



ხელმისაწვდომობა
ინფრასტრუქტურაზე და სერვისებზე



გადახდისუნარიანობა




ტექნოლოგიები



მობილობა



უსაფრთხოება და თავისუფლება



ჯანმრთელობა, ჰიგიენა, სუფთა გარემო



დასაქმებისა და
მენარმეობის შესაძლებლობა



მინა, საკუთრება და წილების ფლობა

მდგრადი ინფრასტრუქტურის არარსებობით

ქალები ყველაზე მეტად ზარალდებიან.

მაგალითად, მათ შეიძლება მეტი დრო დახარჯონ საოჯახო საქმეებზე, ან ოჯახის წევრების მოვლაზე, რაც კიდევ უფრო რთულდება, თუ წყალი ან ელექტროენერგია ხარვეზებით, ან საერთოდ არ მიეწოდებათ. სამსახურის ძიებისა და შერჩევისას, ქალებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია უსაფრთხო ტრანსპორტი. თითქმის ყველა საზოგადოებაში COVID-19-მა ქალები უფრო მეტად დააზარალა, რადგან ისინი პანდემიის დროს საოჯახო საქმეებით უფრო მეტად დაიტვირთნენ. ამიტომაც, ქალების საჭიროებები და რჩევები გათვალისწინებული უნდა იყოს ქალაქის სერვისების დაგეგმვისას.

თანასწორობისა და ქალთა უფლებების

დაცვისათვის, ქალების ხმა სათანადოდ უნდა ისმოდეს.

სასურველი შედეგის მისაღწევად, ინფრასტრუქტურის დაგეგმვის და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში ქალები უნდა მონაწილეობდნენ. საუკეთესო შედეგს მაშინ მივიღებთ, როცა ურბანული გადაწყვეტილებები განსხვავებული ჯგუფების მონაწილეობით მიიღება და დაინერგება.